



სამართლიანი არჩევნები

სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება

რ ე კ ო მ ე ნ დ ა ც ი ა

ორგანიზაციის კონცეფცია საარჩევნო ადმინისტრაციის
ფორმირების წესთან დაკავშირებით

2009

სამართლიანი არჩევნებისა და
დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება

მისამართი: 0160 თბილისი,
ვაჟა ფშაველას გამზ. 7

ტელ: (995 32) 98 39 98
ფაქსი: (995 32) 37 22 13

ელ-ფოსტა: info@isfed.ge
ვებ-გვერდი: www.isfed.ge



”სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება” მიიჩნევს, რომ სამართლიანი და გამჭვირვალე არჩევნების ჩატარების ერთ-ერთი მთავარი წინაპირობა გამართული და დემოკრატიული სტანდარტების შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის არსებობაა. მივესალმებით პოლიტიკური პარტიების მიერ ახალი საარჩევნო კოდექსის შემუშავების პროცესში აქტიურ თანამშრომლობას და ვიმედოვნებთ, რომ ზემოაღნიშნული გამოიღებს კონკრეტულ შედეგს.

”სამართლიანი არჩევნები” თავისი მრავალწლიანი საარჩევნო-სადამკვირვებლო გამოცდილებით გათვალისწინებით მზად არის გარკვეული წვლილი შეიტანოს ახალი საარჩევნო კანონმდებლობის ფორმირებაში. შესაბამისად, ”სამართლიანი არჩევნები” პერიოდულად წარმოგიდგენთ ორგანიზაციის კონცეფციას სხვადასხვა საარჩევნო საკითხებთან დაკავშირებით.

ამჯერად, წარმოგიდგენთ ორგანიზაციის კონცეფციას საარჩევნო ადმინისტრაციის ფორმირებასთან დაკავშირებით. მიგვაჩნია, რომ საარჩევნო ადმინისტრაცია არის არჩევნების მთლიანი პროცესის წარმატებულად ადმინისტრირების გარანტი. სწორედ ამიტომ იგი უნდა დაფუძნდეს პარტიტულ პრინციპზე, რათა გაიზარდოს საარჩევნო პროცესში მონაწილე თითოეული პარტიის წილი პასუხისმგებლობა, რაც თავის მხრივ განაპირობებს ამომრჩეველთა ნდობის ამაღლებას საარჩევნო პროცესებსა და მის შედეგებთან მიმართებაში.

საარჩევნო ადმინისტრაციის ფორმირების წესი

შენარჩუნდეს სამ დონიანი საარჩევნო ადმინისტრაცია – საუბნო, საოლქო და ცენტრალური საარჩევნო კომისიების სახით. საარჩევნო კომისია თითოეულ დონეზე უნდა შედგებოდეს 9 წევრისაგან: 7 პარტიული წევრი, თავმჯდომარე (უპარტიო) და მდივანი (უპარტიო).

- თუ პარტიების (კვალიფიციური სუბიექტების) რაოდენობა 7-ზე მეტია, თითო წევრს ნიშნავს 7 სხვებზე მეტი დაფინანსების მიმღები პარტია. თუ რამდენიმე პარტიას აქვს თანაბარი დაფინანსება, უპირატესობა ენიჭება არჩევნებში საუკეთესო შედეგის მქონე პარტიას. თუ საარჩევნო ბლოკში შემავალ რამდენიმე პარტიას აქვს თანაბარი დაფინანსება, უპირატესობა ენიჭება ბლოკის წევრთა ჩამონათვალში სხვებზე წინ მყოფ პარტიას.
- თუ პარტიების (კვალიფიციური სუბიექტების) რაოდენობა 7-ზე ნაკლები აღმოჩნდა, იგი 7-მდე შეივსება არჩევნებში მათი მომდევნო საუკეთესო შედეგის მქონე იმ პარტიებით (მიღებული ხმების კლების მიხედვით დადგენილი რიგითობის შესაბამისად), რომლებიც დამოუკიდებლად მონაწილეობდნენ არჩევნებში ან გაერთიანებული იყვნენ საარჩევნო ბლოკში და ბლოკის წევრთა ჩამონათვალში სხვებზე წინ იყვნენ (თუ პირველად დასახელებულმა პარტიამ კომისიის წევრის დანიშვნაზე უარი განაცხადა, ეს უფლება მეორეზე გადადის და ა. შ.).

სამართლიანი არჩევნებისა და
დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება

მისამართი: 0160 თბილისი,
ვაჟა ფშაველას გამზ. 7

ტელ: (995 32) 98 39 98
ფაქსი: (995 32) 37 22 13

ელ-ფოსტა: info@isfed.ge
ვებ-გვერდი: www.isfed.ge



ცენტრალური საარჩევნო კომისია

1. წევრთა წარდგენა მოხდეს პოლიტიკური პარტიების (კვალიფიციური სუბიექტების) მიერ თანაბრად (თითო პარტია უდრის ერთ წევრს);
2. პარტიის მიერ წარდგენილი კომისიის წევრი უნდა აკმაყოფილებდეს კანონით (საჯარო სამსახურის შესახებ, საარჩევნო კოდექსი) დადგენილ მოთხოვნებს;
3. ცესკო-ს წევრთა შემადგენლობას ამტკიცებს საქართველოს პარლამენტი;
4. ცესკო-ს თავმჯდომარისა და მდივნის თანამდებობათა დასაკავებლად, ცესკოს წევრთა მიერ ტარდება კონკურსი, რომელზედაც ხდება თითოეული ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად არა ნაკლებ 2 და არა უმეტეს 3 კანდიდატურის შერჩევა.
 - 4.1 აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით თითოეული ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად არსებულ კანდიდატებს კენჭი ეყრებათ თითოეულს დამოუკიდებლად;
 - 4.2. ცესკო გადაწყვეტილებას იღებს კვალიფიციური უმრავლესობით (წევრთა არანაკლებ (2/3));
 - 4.3 იმ შემთხვევაში, თუ წარდგენილი კანდიდატურებიდან ვერ შეირჩა თითოეული ვაკანტური თანამდებობისათვის 2 კანდიდატურა მაინც, ხელახალი კენჭისყრისათვის დარჩენილი კანდიდატურებიდან წარდგენილი უნდა იქნეს საუკეთესო შედეგების მქონე 3 კანდიდატურა მაინც. ასეთ შემთხვევაში ცესკო-ს მიერ გადაწყვეტილების მიღება ხდება წევრთა ხმათა უბრალო უმრავლესობით.
5. ცესკო თავის მიერ შერჩეულ კანდიდატებს დასამტკიცებლად წარუდგენს პარლამენტს. თითოეული თანამდებობისათვის წარდგენილი 2-3 კანდიდატიდან პარლამენტი ირჩევს ერთს და ამტკიცებს შესაბამის თანამდებობაზე.

საოლქო საარჩევნო კომისია

1. საოლქო კომისიის წევრთა წარდგენასთან დაკავშირებით მოქმედებს ცესკო-ს ფორმირების წესი;
2. საოლქო კომისიის თავმჯდომარისა და მდივნის არჩევასთან დაკავშირებით მოქმედებს ცესკო-ს თავმჯდომარისა და ცესკო-ს მდივნის მიმართ დადგენილი წესი, მხოლოდ ნაცვლად პარლამენტისა საბოლოო გადაწყვეტილების მიღება ხდება ცესკო-ს მიერ, წევრთა უბრალო უმრავლესობით.

საუბნო საარჩევნო კომისია

1. საუბნო კომისიის წევრთა წარდგენასთან დაკავშირებით მოქმედებს ცესკო-ს ფორმირების წესი;
2. საუბნო კომისიის თავმჯდომარისა და მდივნის არჩევასთან დაკავშირებით მოქმედებს ცესკო-ს თავმჯდომარისა და ცესკო-ს მდივნის მიმართ დადგენილი წესი, მხოლოდ ნაცვლად პარლამენტისა საბოლოო გადაწყვეტილების მიღება ხდება საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ, წევრთა უბრალო უმრავლესობით.